

საიდ. N 77152/03

IR 1180439

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №92-03/15

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ნ. გოგილიძე, მ. ჭიჭინაძე, ქ. კილაძე გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა კომპანიის „ფილიპ მორის პროდაქტს ს.ა.“ (Philip Morris Products S.A.) (მის.: ქე ჟანრენო 3, CH-2000 ნეშატელ, შვეიცარია; Quai Jeanrenaud 3, CH-2000 Neuchâtel, Switzerland) N92-03/15 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 1 აპრილის N1425/03 ბრძანების ბათილად ცნობა და საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო

ნიშნისთვის „ASH CONTROL“ (საიდ. N77152/03, IR 1180439) დაცვის მინიჭება საქართველოში სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 1 აპრილის N1425/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი კომბინირებული სასაქონლო ნიშანი „ASH CONTROL“ მსგავსია კომპანიის „ჯაპან ტობაკო ინკ.“ (JAPAN TOBACCO INC.) (მის: 2-2-1, ტორანომონ, მინატო-კუ, ტოკიო, იაპონია; 2-2-1, Toranomom, Minato-ku, Tokyo, Japan) სახელზე საქპატენტში რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნისა „CONTROL“ (რეგ. თარ.: 2011-10-17, რეგ. N21895) 34-ე კლასის მსგავსი ჩამონათვალისათვის. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ორივე ნიშანი შესრულებულია ლათინური ანბანით. რეგისტრირებული ნიშანი შედგება მხოლოდ სიტყვიერი ნაწილისაგან - CONTROL, ხოლო განცხადებულ ნიშანს დამატებით აქვს სიტყვიერი ელემენტი ASH და გამოსახულება, კერძოდ ჰორიზონტალურად შესრულებული ზოლები. ორივე ნიშანში ძირითადი დატვირთვა მოდის სიტყვაზე CONTROL. მიუხედავად იმისა, რომ განცხადებული ნიშანი შეიცავს დამატებით სიტყვიერ ელემენტს და გამოსახულებას, აღნიშნული ვერ უზრუნველყოფს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის საკმარის განმასხვავებლობას. მსგავსია დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების 34-ე კლასის ჩამონათვალიც. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, იქმნება ნიშნებს შორის აღრევისა და შესაბამისად მომხმარებლის შეცდომაში შეყვანის შესაძლებლობა, რაც „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, წარმოადგენს

საერთაშორისო კომბინირებული სასაქონლო ნიშნის „ASH CONTROL“ (საიდ. N77152/03, IR 1180439) დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის საფუძველს. აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი. აპელანტი არ დაობს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია, თუმცა მიაჩნია, რომ ნიშნებს შორის არსებობს საკმარისი განსხვავება, 34-ე კლასის განცხადებული ჩამონათვალისათვის, იმისათვის, რომ არ მოხდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა. აპელანტის პოზიციით, განცხადებული სასაქონლო ნიშანი კომბინირებულია და შედგება გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტებისაგან. გამოსახულებითი ელემენტი შედგება სხვადასხვა სიგრძისა და სისქის მონაკვეთებისაგან შედგენილ სამ წყვეტილ ზოლისაგან. აპელანტის პოზიციით, განცხადებული კომბინირებული სასაქონლო ნიშანი ისეა წარმოდგენილი, რომ მის მეორე სიტყვაზე - CONTROL არ მოდის ძირითადი დატვირთვა. აპელანტის აზრით, დამატებითი სიტყვიერი ელემენტი და გამოსახულება განცხადებულ სასაქონლო ნიშანს სძენს საკმარის განმასხვავებლობას, რათა არ მოხდეს მომხმარებლის შეცდომაში შეყვანა 34-ე კლასის განცხადებული საქონლის მიმართ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ბათილად იქნას ცნობილი საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 1 აპრილის N1425/03 ბრძანება, რომლითაც საერთაშორისო სასაქონლო ნიშანს უარი ეთქვა დაცვის მინიჭებაზე საქონლის განცხადებული ჩამონათვალის მიმართ და საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის „ASH CONTROL“ (საიდ. N77152/03, IR 1180439) დაცვის მინიჭებას საქართველოში სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. N92-03/15) არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშანი არ რეგისტრირდება, თუ იგი „მესამე პირის სახელზე რეგისტრირებული, უფრო ადრინდელი პრიორიტეტის მქონე სასაქონლო ნიშნის მსგავსია, ხოლო საქონელი – იდენტური ან იმდენად მსგავსი, რომ ჩნდება ამ სასაქონლო ნიშნების აღრევის, მათ შორის, ასოცირების შედეგად აღრევის შესაძლებლობა“.

სააპელაციო პალატის კოლეგია არ იზიარებს აპელანტის პოზიციას განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების განსხვავებაზე და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი „ASH CONTROL“ (საიდ. N77152/03, IR 1180439) და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშანი „CONTROL“ (რეგ. N 21895) წარმოადგენს აღრევამდე მსგავს სასაქონლო ნიშნებს.

განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნები შესრულებულია ლათინური ანბანის სტანდარტული შრიფტით. რეგისტრირებული სასაქონლო ნიშანი წარმოადგენს სიტყვიერ სასაქონლო ნიშანს - CONTROL. განცხადებული სასაქონლო ნიშანი კი კომბინირებული სასაქონლო ნიშანია და შედგება გამოსახულებითი და სიტყვიერი ელემენტებისაგან. სიტყვიერი ნაწილის - ASH CONTROL მეორე სიტყვა - CONTROL, მოთავსებულია სიტყვის - ASH ქვეშ.

მიუხედავად განცხადებულ სასაქონლო ნიშანში არსებული დამატებითი სიტყვისა - ASH, განცხადებული სასაქონლო ნიშანი მთლიანად მოიცავს რეგისტრირებულ სასაქონლო ნიშანს - CONTROL. განცხადებული სასაქონლო ნიშნის მეორე სიტყვა - CONTROL, რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის იდენტურია. ამასთან, სააპელაციო პალატის კოლეგია არ ეთანხმება აპელანტის პოზიციას, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშნის სიტყვიერ ნაწილში დომინანტი სიტყვიერი ელემენტია - ASH. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ განცხადებულ სასაქონლო

ნიშნში სიტყვიერი და გამოსახულებითი ელემენტების განლაგების მიხედვით ძირითადი დატვირთვა მოდის სწორედ სიტყვიერ ელემენტზე - CONTROL, რადგან იგი ცალკე, დამოუკიდებელ ხაზზეა განლაგებული. სააპელაციო პალატას მიაჩნია, რომ განცხადებულ ნიშანში არსებული დამატებითი სიტყვიერი ელემენტი და გამოსახულებითი ელემენტის კომბინაცია ვერ უზრუნველყოფს დაპირისპირებულ სასაქონლო ნიშნებს შორის საკმარის განმასხვავებლობას.

რაც შეეხება განცხადებული და დაპირისპირებული სასაქონლო ნიშნების საქონლის ჩამონათვალს, ორივე ნიშანი განცხადებულია 34-ე კლასის მსგავსი საქონლისათვის, რაც კიდევ უფრო ზრდის მათი აღრევის შესაძლებლობას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა „სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. კომპანიის „ფილიპ მორის პროდაქტს ს.ა.“ (Philip Morris Products S.A.) სააპელაციო საჩივარი (საიდ. №92-03/15) არ დაკმაყოფილდეს.

2. ძალაში დარჩეს „საერთაშორისო სასაქონლო ნიშნისთვის დაცვის მინიჭებაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნების, გეოგრაფიული აღნიშვნებისა და დიზაინის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 1 აპრილის N1425/03 ბრძანება.

3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე:

ნ. გოგილიძე

წევრები:

ქ. კილაძე

მ. ჭიჭინაძე